ხათუნა ქოქრაშვილი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ათეისტური პროპაგანდის მეთოდები საბჭოთა საქართველოში (მე-20 ს-ის 20-30-იანი წლები)

შესავალი

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ ქვეყანაში პრაქტიკულად საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. საქართველოს ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი შეუნარჩუნდა, თუმცა რეალურად ის რუსეთის სატელიტ ქვეყნად იქცა, სადაც ყველა პრობლემა მოსკოვთან შეთანხმებით წყდებოდა. 1922 წლის 30 დეკემბერს საქართველოს სსრ ფორმალურად გაერთიანდა მოკავშირე სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, თუმცა რეალურად აღმოჩნდა მკაცრად ცენტრალიზებული, ტოტალიტარული სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელიც იმართებოდა მოსკოვიდან კომუნისტური პარტიის ლიდერების დირექტივების შესაბამისად.

საბჭოთა სახელმწიფოს მნიშვნელოვან იდეოლოგიურ საფუძველს ათეიზმი წარმოადგენდა, რომელმაც მკვეთრად გამოხატული აგრესიული ხასიათი მიიღო. კომუნისტური პარტია ოფიციალურად აღიარებდა რწმენისა და სინდისის თავისუფლებას, მაგრამ ფაქტობრივად, რელიგიის წინააღმდეგ ყველა შესაძლო მეთოდით იბრძოდა. აგრესიული ათეიზმი სახელმწიფოში სარწმუნოებრივი პოლიტიკის საფუძველი გახდა. გასაბჭოების შემდეგ ამგვარი სარწმუნოებრივი პოლიტიკა საქართველოშიც გავრცელდა და გამოვლინდა სხვადასხვა მიუღებელი ფორმებით.

ტოტალიტარიზმის, როგორც პოლიტიკური რეჟიმის, თვისებაა სახელმწიფოს ყოვლისმომცველი კონტროლი მთელ საზოგადოებასა და თითოეულ პიროვნებაზე. სსრკ-ში განსაკუთრებული კონტროლი დაწესდა იმ სფეროებზე, რომლებსაც მასებზე ძლიერი ზეგავლენა შეეძლოთ. ამდენად, რელიგიური ორგანიზაციები, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, სახელმწიფოს მხრივ უნივერსალური კონტროლის უმთავრესი ობიექტი გახდა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მართლმადიდებელი ეკლესია და სამღვდელოება. მართლმადიდებლობა გასაბჭოებამდე რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიის სტატუსს ფლობდა და სხვა კონფესიებთან შედარებით პრივილეგიებით სარგებლობდა. საბჭოთა ხელისუფლება საკმაოდ მწვავედ სწორედ მართლმადიდებელ ეკლესიას დაუპირისპირდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ უარყო რელიგია და „რწმენის ახალ სახეობად“ კომუნიზმის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გამოაცხადა, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის იდეალებით მოცული „ახალი ადამიანისა“ და „ახალი საზოგადოების“ ფორმირება, რელიგიისა და ტრადიციული კონფესიების ჩანაცვლება ათეისტური იდეოლოგიით. (პავლიაშვილი, გვ. 442) შესაბამისად, ყველა

კონფესია, მათ შორის, მართლმადიდებელი ეკლესია „რეაქციულ“ და „კონტრრევოლუციურ“ ძალად განიხილებოდა. სახელმწიფო მიზნად ისახავდა ეკლესიის ტრადიციული როლის დაკნინებას, მისი საკუთრების უფლების გაუქმებას და ქონების ნაციონალიზაციას, ღვთისმსახურების შეზღუდვას საბოლოო გაუქმებამდე, საეკლესიო ლიტერატურის აკრძალვას, სასულიერო პირებისა და მრევლის დევნას, ეკლესიისგან ახალგაზრდა თაობის დისტანცირებას. (ვაჩნაძე, გურული, 2008: 35) გამოიცა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის საწინააღმდეგო არაერთი საკანონმდებლო აქტი. შემუშავდა ათეისტური პროპაგანდის მეთოდები, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკისა და ანტირელიგიური კამპანიის მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა.

კვლევაში შევეცადეთ გვეჩვენებინა, მე-20 ს-ის 20-30-იან წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ანტირელიგიური კამპანიის მეთოდები და თავისებურებები; საბჭოთა ელიტისა და ქვეყნის სარწმუნოებრივი პოლიტიკის ცვლილებების კონტექსტში გაგვეანალიზებინა და გამოგვერკვია ათესტური პროპაგანდის სტადიები და ხასიათი.

მეთოდები

ნაშრომი ეფუძნება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის გამოქვეყნებულ საარქივო მასალებს, დოკუმენტებსა და ეკლესიის ისტორიის კვლევებს: ნ. პაპუაშვილის, გ. როგავას, ქ. პავლიაშვილის, ს. ვარდოსანიძის, ი. არაბიძის, მ. ქართველიშვილის, ე. სილაგაძის, ნ. ყიფშიძის, მ. ბარბაქაძის, ლ. კერესელიძის, გ. კლდიაშვილის ნაშრომებს და გამოქვეყნებულ დოკუმენტებს; ა. ბაქრაძის, ს. მეტრეველისა და სხვათა გამოკვლევებს საბჭოთა ტოტალიტარიზმის პოლიტიკური, კულტურული ტერორისა და ანტირელიგიური დისკურსის შესახებ. მოძიებული მასალების კვლევა შესრულდა ისტორიზმის პრინციპით, ანალიზისა და სინთეზის, ასევე, ისტორიულ-შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდების გამოყენებით, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა საბჭოთა საქართველოში ათეისტური პროპაგანდის მეთოდების ფორმირების პროცესი, მისი ეტაპები და თავისებურებები.

შედეგები

ისტორიოგრაფიაში არსებული თვალსაზრისით, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველ ეტაპზე პოლიტიკურ ელიტაში ეკლესიისადმი დამოკიდებულების ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველი გამოხატავდა ლენინ-ტროცკის პოზიციას და მიზნად ისახავდა ეკლესიის სრულ ლიკვიდაციას; მეორე, რომელსაც სტალინი ემხრობოდა, გულისხმობდა ეკლესიის მოდერნიზაციას, მისი ფუნქციის ახლებურ გააზრებას, ეკლესიის გამოყენებას საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიის დაცვისა და მასებში საბჭოური სისტემის პროპაგანდისთვის. (ქართველიშვილი, 2022: 46-48) თუმცა, ისტორიული პროცესები ცხადჰყოფს, რომ სტალინის პოზიცია ეკლესიის მიმართ მე-20 ს-ის 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების განმავლობაში უკიდურესად რადიკალური გახდა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ მე-20 ს-ის 20-30-იანი წლებში საბჭოთა ხელისუფლების მხრივ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები ერთგვაროვანი არ იყო; ის ლავირებდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მდგომარეობისა და სარწმუნოებრივი პოლიტიკის ცვლილების მიხედვით. თუ სსრკ-ს არსებობის პირველ წლებში (1922-1924) ეკლესიაზე ზეწოლა განსაკუთრებულად მძლავრია, 1925-1927 წლებში ის შედარებით შერბილდა, ხოლო 1930-იან წლებში ანტირელიგიური კამპანია, შესაბამისად ანტირელიგიური პროპაგანდა, წარმოუდგენლად მძიმე ფორმებს იძენს.

კვლევაში სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო მასალების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად გაანალიზდა მე-20 ს-ის 20-30-იან წლებში სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლებისგან დაგეგმილი ანტირელიგიური კამპანიის ხასიათი საქართველოში; ათეისტური პროპაგანდის მეთოდებისა და მისი შედეგების ზეგავლენა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებზე.

მსჯელობა და დასკვნები

ანტირელიგიური კამპანიის დასაწყისი საქართველოში. 1921-1924 წლების ათეისტური პროპაგანდის პირველი ტალღა. რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების დამოკიდებულება გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ საკმაოდ დაძაბული იყო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც 1917 წელს აღიდგინა რუსეთის იმპერიის მიერ 1811 წელს გაუქმებული ავტოკეფალია, ამ პერიოდისთვის წარმოადგენდა დამოუკიდებელ მართლმადიდებელ ეკლესიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხელმძღვანელობით. თუმცა რუსეთის ეკლესია, რომელმაც 1917 წელს (28 ოქტომბერი (10 ნოემბერი)) სინოდალური მმართველობის გაუქმების შემდეგ თავადაც აღიდგინა პატრიარქის ინსტიტუტი, არ ცნობდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელ სტატუსსა და საეკლესიო ორგანიზაციას. ამ ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაწყდა ევქარისტული კავშირი. (ქოქრაშვილი, 2016: 409-410) ამგვარი ურთიერთობა მათ შორის გაგრძელდა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაციისა და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც 1943 წლამდე.

ცნობილია, რომ რუსეთში ბოლშევიკური ხელისუფლების პირველივე დეკრეტები შეეხო ეკლესიის მდგომარეობას საბჭოთა სახელმწიფოში. დეკრეტით „მიწის შესახებ“ (1917 წლის 26 ოქტომბერი (8 ნოემბერი)) ეკლესიისა და მონასტრების კუთვნილი მიწები მათზე არსებული ნაგებობებითა და ინვენტარით გახდა სახელმწიფოს ექსკლუზიური საკუთრება. ამით ეკლესიას ეკონომიკური და ფინანსური საყრდენი გამოეცალა. საბჭოთა ხელისუფლების მომდევნო დეკრეტებით: „სინდისის თავისუფლების, საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებების თაობაზე“ (1918, 20 იანვარი), ასევე, „სახელმწიფოსგან ეკლესიის და ეკლესიიდან სკოლის გამოყოფის თაობაზე“ (1918, 23 იანვარი) – გამოცხადდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა, რაც დადასტურდა 1918 წლის 10 (23) ივლისს სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის მიერ მიღებული საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციით.

1918 წელს მემარცხენე ესერების ამბოხებისა და ვლადიმერ ლენინზე თავდასხმის შემდეგ დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ტერორი: უამრავი ადამიანი ციხეში გამოკეტეს ან გასამართლების გარეშე დახვრიტეს; წითელი ტერორი ინტელიგენციის, თავადაზნაურობის, მეფის რუსეთის ოფიცრებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად, განსაკუთრებულად შეეხო ეკლესიასა და სამღვდელოებას. (ვაჩნაძე, გურული, 2008: 34-35)

1921 წელს რუსეთის არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ რუსეთში მიმდინარე ანტირელიგიური პოლიტიკა საქართველოშიც გატარდა. დაიწყო რუსეთში 1917-1921 წლებში მიღებული კანონებისა და დეკრეტების გადმოღება. მაგ.: საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი № 17 „მიწის შესახებ“, რომელიც პრაქტიკულად ზუსტად იმეორებდა საბჭოთა რუსეთის იგივე დეკრეტის ტექსტს: „კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვა მსხვილ მფლობელთ“ ჩამოერთვა მიწები და გადაეცა „მიწის სახელმწიფო ფონდს“. (საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1959: 8) საქართველოს რევკომის № 21 დეკრეტით (1921, 15 აპრილი) კი, „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გაუუქმდა იურიდიული სტატუსი, მისი უძრავ-მოძრავი ქონება საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა: „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ არა აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებათ.“ (საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1959: 10-13)

საბჭოთა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულმა დეკრეტმა „საეკლესიო ფასეულობათა ამოღების თაობაზე“ (1922, 23 თებერვალი), რომლითაც გადაწყდა ეკლესიაში არსებული განძეულობის: ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი თვლებით შემკული საეკლესიო ნივთების ამოღება. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შევსების ეს იდეა ეკუთვნოდა ლევ ტროცკის და ის გამიზნული იყო რუსეთის იმ რეგიონების მოსახლეობის გადასარჩენად, სადაც 1921-1922 წლებში შიმშილი მძვინვარებდა. რეალურად ეკლესიებიდან გატანილი ფასეულობების მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენეს დანიშნულებისამებრ, ძირითადად, ის სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს მოხმარდა. (ბენდელიანი, 2002: 33; პავლიაშვილი, 2008: 442; ქართველიშვილი, 2023: 45-46; ვაჩნაძე, გურული, 2008: 37)

აღნიშნულ დეკრეტს რუსეთის პატრიარქი ტიხონი კრიტიკით გამოეხმაურა. 1922 წლის 15 (28) თებერვლის ეპისტოლეში ის აღნიშნავდა, რომ ეკლესია ეთანხმებოდა მხოლოდ იმ საეკლესიო ნივთების ამოღების შესაძლებლობას, რომელსაც არ ჰქონდა ლიტურგიკული ფუნქცია; ხოლო საეკლესიო სიწმინდეებისა და საღვთისმსახურო დანიშნულების ნაკურთხი ნივთების არასაღვთისმსახურო მიზნით გამოყენება დაუშვებლად მიიჩნია.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ საეკლესიო ფასეულობათა ამოღების პროცესი მაინც დაიწყო, რასაც ეკლესიისა და რელიგიურად განწყობილი საზოგადოების დიდი წინააღმდეგობა, მრავალრიცხოვანი ექსცესები, მათ შორის, სისხლიანი დაპირისპირება მოჰყვა. საეკლესიო ფასეულობების ამოღებას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის მრავალი ქალაქის, განსაკუთრებით, ქალაქ შუისა და სმოლენსკის მრევლმა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეს საბოტაჟად ჩათვალა, რასაც მოჰყვა საბჭოთა ლიდერების მკაცრი დირექტივები, რომელმაც წაახალისა ეკლესიის მიმართ წითელი ტერორი. „... მე მივდივარ უპირობო დასკვნამდე, რომ ჩვენ სწორედ ახლა უნდა მივიტანოთ ყველაზე გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა შავრაზმელ სამღვდელოებაზე და ჩავახშოთ მისი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ ეს არ დაივიწყონ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში... განძეულობის ამოღება ყველაზე მდიდარი ლავრებიდან, მონასტრებიდან და ეკლესიებიდან ჩატარდეს დაუნდობელი შეუპოვრობით, რა თქმა უნდა, ისე რომ არაფერმა შეგვაჩეროს და შესრულდეს უმოკლეს ვადაში. ამ საბაბით, რაც უფრო მეტი რეაქციული სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენელს დავხვრეტთ, მით უკეთესი. სწორედ ახლა უნდა ვასწავლოთ ჭკუა ამ საზოგადოებას ისე, რომ მათ რამდენიმე ათეული წელი წინააღმდეგობა ვერც გაბედონ და ვერც იფიქრონ“. (თარგმანი ხ. ქ.). ეს არის ნაწყვეტი ლენინის წერილიდან მოლოტოვის მიმართ, რომელიც მან 1922 წლის 19 მარტს ტელეფონით, „მკაცრად საიდუმლო“ გრიფით გადასცა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისთვის გასაცნობად.[1]

დაიწყო სასულიერო და საერო პირების მასობრივი დაპატიმრება, სასამართლო პროცესებზე მათი „ხალხის მტრად“ გამოცხადება, საგანგებო ტრიბუნალის განაჩენით ათასობით სასულიერო და საერო პირის დახვრეტა. იმავე წელს პოლიტბიურომ მიიღო ტროცკის წინადადება, რომ სისრულეში მოეყვანათ სიკვდილით დასჯის განაჩენი იმ სასულიერო პირების მიმართ, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ციხეებში სასჯელს იხდიდნენ, როგორც „ხალხის მტრები“. მალევე შემუშავდა ანტირელიგიური პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი სისტემა. გამოიცა გაზეთი „უღმერთო“ (1922 წ.),

1 ვ. ლენინის აღნიშნული წერილი დიდხანს გასაიდუმლოებული იყო. მისი არსებობის შესახებ ინფორმაცია პირველად გამოქვეყნდა 1964 წელს ვ. ლენინის თხზულებების მე-5 გამოცემაში (ტ. 45, გვ. 666-667), ხოლო ნაწყვეტები პირველად დაიბეჭდა 1969 წელს „მიმდინარე მოვლენების ქრონიკაში“ (Хроника текущих событий, 9 выпуск, 1969) რუბრიკაში „სამიზდატის სიახლეები“ (Новости Самиздата). ეს იყო ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ბიულეტენი, სსრკ-ში პირველი ცენზურის გარეშე გამოცემა. საბჭოთა ისტორიკოსების მიერ აღნიშნული დოკუმენტი წლების მანძილზე მიიჩნეოდა ფალსიფიცირებულ ტექსტად, თუმცა ბოლო წლებში დადასტურდა მისი ავთენტურობა. მიკვლეულია დაშიფრული ტელეგრამის ორიგინალიც მოლოტოვის წარწერითა და დასტურით. ვ. ლენინის წერილის (მოხსენების) წინაპირობა იყო ქ. შუის ცნობილი მოვლენები, ეკლესიისა და მრევლის წინააღმდეგობა საეკლესიო ფასეულობათა ამოღების თობაზე, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებთან სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

რომელმაც იდეოლოგიური საფუძველი შეუმზადა ათეისტურ კამპანიას. გამოცემის მიზანი იყო ეკლესიისა და სამღვდელოების მოღვაწეობის წარმოჩენა ანტისოციალურ, რეაქციულ, რეტროგრადულ მოვლენად. მისი ტირაჟი ყოველწლიურად იზრდებოდა.

საეკლესიო განძეულობის ამოღების შესახებ რუსეთის მსგავსი კანონი საქართველოში 1922 წლის 10 აპრილს მიიღეს. ამ დეკრეტის შესაბამისად საქართველოს ხელისუფლება მყისვე შეუდგა რელიგიური ორგანიზაციების, მათ შორის, ეკლესიებისა და მონასტრების საკუთრების აღწერას. მთავრობის ინტერესი იყო საგანძურის ამოღების მიზნით, მათი ქონების, ძირითადად, ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასეულობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ბუნებრივია, ამ პროცესს საქართველოს ეკლესია და საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციები წინააღმდეგობით შეხვდნენ.

შსს საარქივო სამმართველოში დაცული საარქივო დოკუმენტების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა „საარქივო მოამბეში“ ირკვევა, რომ საქართველოში ხელისუფლებამ ანტირელიგიური კამპანია უკვე 1922 წლის დეკემბერში დაიწყო, რაც მთელი 2023 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა. (ყიფშიძე, 2010, გვ. 44-53; ბარბაქაძე, 2010, გვ. 67-68; კერესელიძე, 2010, გვ. 82-89) ის გულისხმობდა: მოსახლეობის ფართო მასებში ათეიზმის აგიტაციას; ეკლესიების, მეჩეთების, სინაგოგების მასობრივ დახურვას ან ნგრევას; მათი ქონების ნაციონალიზაციას და საეკლესიო ფასეულობების ამოღებას, რელიგიური წრეებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგობის დაძლევას მასობრივი სადამსჯელო ღონისძიებებითა და ტერორით.

შეიქმნა კომისია რელიგიის საკითხებთან დაკავშირებით, მასში შედიოდნენ საქართველოს კომპარტიის ლიდერები მ. კახიანი, ვ. სტურუა, ქართველიშვილი, მ. ოკუჟავა, ე. კვანტალიანი. (კლდიაშვილი, 2010: 101) საქართველოს ცეკასთან არსებულმა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ მოსახლეობის ფართო მასებში ანტირელიგიური კამპანია წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით წარმართა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტს ეგზავნებოდა ცირკულარები ანტირელიგიური კამპანიის შესახებ მითითებებითა და ინფორმაციით. 1923 წლის 23 თებერვალს საქართველოში პერიოდული გამოცემების რედაქტორებმა მიიღეს საქართველოს კომპარტიის მდივნის, მიხეილ კახიანის საიდუმლო ცირკულარი: პარტიის დავალებით ჟურნალ-გაზეთებს ანტირელიგიური მასალებისა და კარიკატურების სისტემატურად დასაბეჭდად სპეციალური რუბრიკა უნდა გამოეყო. (მეტრეველი, 2014: 26) ათეისტური კამპანია საქართველოში მოქმედ ყველა კონფესიას და სასულიერო პირს შეეხო: იუდაიზმს, კათოლიურ, გრიგორიანულ აღმსარებლობას, ისლამურ თემებს, თუმცა ყველაზე მასშტაბური ზეწოლა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ განიცადა.

1923 წლის 11 მაისს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში ყველა მონასტრის დახურვის შესახებ. (კლდიაშვილი, 2010: 101) ცნობილია, რომ 1923 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაკეტილი ეკლესიების

საყოფაცხოვრებო ობიექტებად გადაკეთებისათვის 5 მილიარდი მანეთი გამოყო. ყველაზე ხშირი იყო ტაძრის კლუბად, საწყობად და თეატრად გამოყენების შემთხვევა. თბილისში ნაძალადევის რაიონში ეკლესიაში აბანო მოაწყვეს; წყნეთში პურის საცხობი გახსნეს; ახალი ათონის მონასტერი არასრულწლოვანთა კოლონიად გადააკეთეს; დიღომში ეკლესია პირუტყვის სასაკლაოდ აქციეს, სადაც პირუტყვს პირდაპირ საკურთხეველთან ატყავებდნენ. (მეტრეველი, 2014: 80)

წყაროების ანალიზმა ცხადად გვიჩვენა, რა ტაქტიკით მიმდინარეობდა ეკლესიებისა და სხვა რელიგიური საზოგადოებების დახურვის კამპანია. მის მნიშვნელოვან კომპონენტს ათეისტური აგიტაცია-პროპაგანდა შეადგენდა: მაზრებში ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით იმართებოდა მრავალრიცხოვანი სხდომები, მიტინგები, ყრილობები. ყოველი ასეთი შეკრება იწყებოდა აგიტატორის ანტირელიგიური მოხსენებით, ეკლესიისა და სარწმუნოების საწინააღმდეგო მოწოდებებით. რელიგია ცხადდებოდა ანტიმეცნიერულ, ცრუ მოძღვრებად. მას მოიხსენიებდნენ დამაკნინებელი ეპითეტებით, მაგ.: რელიგია იწოდებოდა „ახალგაზრდობის დამმახინჯებლად“, ეკლესია-მონასტრები „მღვდლების სამიკიტნოდ“, „გონების დამაჩლუნგებელ ტაძრად“, სასულიერო პირები კი „სარწმუნოებრივ შარლატანებად“ და ა. შ. ხშირი იყო რელიგიის წინააღმდეგ სასამართლოს მოწყობის (ქუთაისი, ოზურგეთი, ონი და სხვა) შემთხვევები. ყოველივე ეს გრძელდებოდა მოწოდებით ეკლესიების, სინაგოგების თუ მეჩეთების დახურვისა და მათი სამკითხველოებად, სკოლებად, სახალხო სახლებად, თუ თეატრ-კლუბებად გადაკეთების შესახებ. შეკრება სრულდებოდა სპეციალური დადგენილებით და ანტირელიგიური ლოზუნგებით, მაგ.: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ძირს სამღვდელოება, ძირს ეკლესიები და მონასტრები, ზიზღი მათ!“; „გაუმარჯოს სინათლეს, შეგნებას, თეატრ-კლუბებს და საბავშვო და სახალხო გადაკეთებულ ეკლესიებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ (ყიფშიძე, 2010: 45-53)

ათეისტურ კამპანიაში, ძირითადად, ჩართული იყო ახალგაზრდობა, პარტიული აქტივისტები, კომკავშირლები, აქტიურობდა მოსახლეობაც. განსაკუთრებით კი, საგანგებო კომისიის (ЧК), სახელმწიფო პოლიტსამმართველოსა (ГПУ) და შინსახკომის (НКВД) თანამშრომლები.

1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ, რომელმაც ეკლესია-მონასტრებიდან ძვირფასეულობის ამოღებას საკანონმდებლო ბაზა კიდევ უფრო გაუმყარა. მასში აღნიშნული იყო: „1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება არის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში; 2. ამ ქონების ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, დაცული იქნას სახალხო განათლების სამუზეუმო დაწესებულებათათვის გადასაცემად; 3. დანარჩენი საეკლესიო განძეული შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ. თითოეულ შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, უმთავრესად ადგილობრივი

გლეხების საჭიროებისათვის“. (საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1959: 41; ვარდოსანიძე, 2001: 75-76)

1923 წლის განმავლობაში ეკლესიების დახურვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. იკრძალებოდა ღვთისმსახურება, დახურული ეკლესიების სიახლოვეს მღვდლებს უკრძალავდნენ გამოჩენას, იდევნებოდნენ, ფიზიკურად უსწორდებოდნენ, შეურაცხყოფდნენ და ძალით კრეჭდნენ სასულიერო პირებს, წვავდნენ ხატებსა და სიწმინდეებს. იქმნებოდა ადგილობრივი სამკაციანი კომისიები ეკლესიებიდან ინვენტარის ამოსაღებად.

1923 წელს კომკავშირლებმა სასტიკად დაარბიეს ქუთაისის საკათედრო ტაძარი (სობორო), გუმბათიდან ჩამოხსნეს ჯვარი, ხოლო ტაძრის შენობიდან სხვა სიწმინდეებთან ერთად გამოტანილი ხატები ფეხით გათელეს. ამ ფაქტით შეძრწუნებულა ტრიფონ ჯაფარიძე, რომელიც 1921-1930 წლებში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის რწმუნებული იყო დასავლეთ საქართველოში. ტაძრის გადარჩენის მიზნით, მან ხელისუფლებას ტაძარში მუზეუმის მოწყობა შესთავაზა, თუმცა უშედეგოდ. 1923 წელს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარი ჯერ დახურეს, ხოლო 1924 წლის ზაფხულში დაიწყო შენობის დემონტაჟი, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ტაძრის ადგილას ვ. ლენინის (მოგვიანებით სტალინის) ძეგლი დადგეს, მასალის ნაწილი ძმათა სასაფლაოს შემოსაღობად გამოიყენეს.

განსაკუთრეული კადნიერებითა და ცინიზმით საეკლესიო სიწმინდეებს ეპყრობოდნენ: მოწამეთას მონასტრიდან ამოასვენეს არგვეთის მთავართა, წმინდა მოწამეთა დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილები, ქ. ქუთაისში ურმით ქუჩებში დაატარებდნენ, შეურაცხყოფდნენ, მოაწყვეს ერთკვირიანი სასამართლო პროცესი, ბრალად წაუყენეს ხალხის მოტყუება, ითხოვდნენ მათგან სასწაულს – თავის მართლებას, რის შემდეგაც დადგა „გამამტყუნებელი“ განაჩენი: გადაწყდა მათი მდ. რიონში გადაყრა. ცნობილი საზოგადო მოღვაწის ტრიფონ ჯაფარიძის თავდადებით, წმინდანთა ნაწილები სრულ განადგურებას გადაურჩა.[2] მისი დიდი ძალისხმევის შედეგად ისინი ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოათავსეს, რაც იმ პერიოდისათვის გმირობის ტოლფასი იყო. (მუმლაძე, 1993; ქებულაძე, 2012: 183) ცნობილია, რომ მოგვიანებით, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის გაბრიელის (ჩაჩანიძე) დიდი ძალისხმევით, ხელისუფლება იძულებული გახადა, დავით და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები ისევ ეკლესიისთვის გადაეცა (1954 წლის 28 ივნისის დადგენილება)[3] (დეისაძე-შარვაშიძე, https://infoimereti.ge).

2 ტრიფონ ჯაფარიძე 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლია. მის ერთ-ერთ ბრალდებას, დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილების გადარჩენა წარმოადგენდა.

3 დოკუმენტი, წმინდა ნაწილების ეკლესიისთვის გადაცემის შესახებ, დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. (დეისაძე-შარვაშიძე, https://infoimereti.ge) 1954 წლის 4 ივლისს წმინდანთა ნაშთები პატივით ჩააბრძანეს მოწამეთას მონასტერში მის კუთვნილ ლუსკუმაში. 1954 წლის 2 ოქტომბერს კი შესრულდა მოწამეთას მონასტრის განახლებული ტაძრის კურთხევა.

წმინდა ნაწილები გაიხსნა, ასევე, ნიკორწმინდაში, სადაც წმ. ნიკოლოზის ნაწილები დაწვეს, საეკლესიო სიწმინდეები შეურაცხყვეს ასევე, სოფლებში მელისკარსა და კახორაში (ხარაგაულის მაზრა), ყულისკარში (ზუგდიდის მაზრა) და ბოდბისხევში (სიღნაღის მაზრა) და სხვა. სენაკში ერთ-ერთი ეკლესიის გუმბათიდან ჩამოხსნეს ჯვარი, რომლის ნაცვლად საბჭოთა ხუთქიმიანი ვარსკვლავი აღმართეს. (ბასილაძე, 2010: 4-5; მეტრეველი, 2014: 36-37). მსგავსი ფაქტების შესახებ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი აღშფოთებული წერდა: „მე არ ვეწინააღმდეგები არამორწმუნეთა მიერ მორწმუნეებთან იდეურ ბრძოლას, მაგრამ ჩემი არსება ვერ შეურიგდება იმას, რომ რესპუბლიკის კანონების წინააღმდეგ არასრულწლოვანმა ახალგაზრდობამ შელახოს მოქალაქეთა ცხრა მეათედის რწმენა და სინდისი, ძალით დაიჭიროს სამლოცველო სახლი“ (ვარდოსანიძე, 2001: 75).

საქართველოს უშიშროების არქივის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით, 1923 წლის ბოლოსთვის საქართველოში სულ 1212 ეკლესია გაუქმებულა: „ტფილისი და ტფილისის მაზრა – 48, სენაკი – 148, ზუგდიდი – 75, ოზურგეთი – 130, ფოთი (ქალაქში) – 5, რაჭა – 117, ლეჩხუმი – 78, აფხაზეთი – 5, აჭარა – 8, ქუთაისი – 160, შორაპანი – 147, სამხრეთ ოსეთი – 60, , გორი – 78, ბორჩალო – 5, ახალციხე – 5, ახალქალაქი –1, დუშეთი – 3, სიღნაღი – 73, თელავი – 65, თიანეთი – 1. აღსანიშნავია, რომ სასაზღვრო რეგიონებში ხელისუფლება სიფრთხილეს იჩენდა. ოსმალეთის მოსაზღვრე ახალციხის მაზრაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანი იყო, ხელისუფლება მეჩეთებს არ შეხებია. დაიხურა მხოლოდ მართლმადიდებელი, გრიგორიანული და კათოლიკური ტაძრები, ასევე, სინაგოგა, რასაც ხმაური მოჰყოლია. (ყიფშიძე, 2010: 50-52)

1920-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სახელმწიფოში ანტირელიგიური პროპაგანდის ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ათეისტების დისპუტები სასულიერო პირებთან, განსაკუთრებით, მართლმადიდებელი აღმსარებლობის მღვდლებთან. მას ესწრებოდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია, მიმდებარე სოფლებიდან შეკრებილი მოსახლეობა. საქართველოში დისპუტების პრაქტიკა მალე მოიშალა, რაც განაპირობა ეკლესიის წარმოდგენლებთან შედარებით ანტირელიგიური აგიტატორების დაბალმა კვალიფიკაციამ. ეს მნიშვნელოვნად აზიანებდა ათეისტების რეპუტაციას და თავად ხელისუფლების ავტორიტეტს.

ანტირელიგიური პროპაგანდის ერთ-ერთი მეთოდი იყო, ასევე, ანტირელიგიური მსვლელობები და კარნავალები. პირველი ასეთი ღონისძიებები 1923 წელს მოეწყო. დაიწყო რელიგიური დღესასწაულების ჩანაცვლება კომკავშირული ღონისძიებებით: ქრისტიანული შობისა და აღდგომის დღესასწაულებს ხელისუფლებამ ე. წ. „კომკავშირული შობა“ და „კომკავშირული აღდგომა“ დაუპირისპირა. განსაკუთრებული მასშტაბი ამგვარმა კამპანიამ მოსკოვსა და პეტროგრადში მიიღო. ეს ღონისძიებები 1923 წელს საქართველოშიც გაიმართა. შობის და აღდგომის დღეების სამოქმედო გეგმა წინასწარ გაიწერა. ანტირელიგიური პროგრამა დიდ ხუთშაბათს იწყებოდა. იმართებოდა, მიტინგები, სხდომები, სატირულ-იუმორისტული თეატრალიზებული წარმოდგენები, რომელიც დასცინოდა რელიგიურ

დღესასწაულებს. აღდგომის დღეს კომკავშირული და პარტიული აქტივი ქუჩაში ანტირელიგიურ მსვლელობა-კარნავალებს აწყობდა. (ბასილაძე, 2010: 4-5).

1924 წლის 10 აპრილს აღდგომის წინა საღამოს ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტმა მოაწყო სპეციალური საკლუბო საღამო - რელიგიის გასამართლება. კომკავშირის მოწოდებით კი თბილისში გაიმართა ფართო ანტირელიგიური ყეენობა (კარნავალი). ახალ სენაკში ჩატარდა თეატრალიზებული წარმოდგენა აპოთეოზი, საგანგებოდ მოწყობილი „მამა ღმერთი“ ქალაქის ბაღში აუფეთქებიათ. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ვულგარულმა კამპანიებმა უკუშედეგი და ხალხის გაღიზიანება გამოიწვია. (მეტრეველი, 2014: 123-124)

მალე ხელისუფლებამ ანტირელიგიური კარნავალები, თეატრალიზებული წარმოდგენები და მსგავსი ღონისძიებები მიიჩნია დეიდეოლოგიზებულ აქციებად, რომელიც გაცილებით დიდ მსგავსებას ამჟღავნებდა სახალხო იმპროვიზებულ თეატრალურ სანახაობასთან, ვიდრე „ათეიზმის“ პროპაგანდის ოფიციალურ ფორმასთან. ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ და ანტირელიგიურმა კომისიამ, საშობაო და სააღდგომო მსვლელობის გამართვის პირველივე გამოცდილების შემდეგ გადაწყვიტეს, მომავალში თავი შეეკავებინათ ამგვარი აქციებისგან და ათეისტურ პროპაგანდას მისცემოდა უფრო მეცნიერული და სერიოზული ხასიათი.

ხელისუფლება დოკუმენტებში აღნიშნავდა, რომ 1923 წლის განმავლობაში საქართველოში ანტირელიგიური კამპანია, კერძოდ, ეკლესიების დახურვა და ათეისტური პროპაგანდა, თითქოს განსაკუთრებული ექსცესების გარეშე წარიმართა, თუმცა იგივე წყაროები მოწმობენ, რომ წინააღმდეგობაც ბევრგან ყოფილა. საოლქო და სამაზრო კომიტეტების სხდომების ოქმებისა და პროტოკოლების მასალებიდან (1923, 12 მაისის მონაცემებით) ირკვევა, რომ ხელისუფლებას წინააღმდეგობა შეხვედრია აფხაზეთში ილორის ეკლესიის დახურვისას; ეკლესიების გაუქმება მოსახლეობამ მტკივნეულად განიცადა ზუგდიდის მაზრაში, აღინიშნა სასულიერო პირების პროტესტი; რაჭაში ეკლესიების დახურვის წინააღმდეგ მიტინგი მოეწყო; ლეჩხუმის მაზრაში, ხელისუფლების მტკიცებით, მოსახლეობა ამ პროცესს გაგებით მოკიდებია, თუმცა „პროვოკაციები“ მოჰყვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან; გორის მაზრაში აღინიშნა მოსახლეობის წინააღმდეგობა და მორწმუნე ქალების გამოსვლები, სოფ. ქვემოჭალაში ფიზიკურად გაუსწორდნენ მილიციელს, ქარელში კი პროტესტით გამოსულან ებრაელები; დუშეთის მაზრაში, საერთო ყრილობაზე ეკლესიების დახურვის წინააღმდეგი ყოფილა მოსახლეობის უმრავლესობა, რამაც ხელისუფლება აიძულა გადაედო ეს პროცესი; თიანეთის მაზრაში კი დაიხურა მხოლოდ 1 ეკლესია, ხოლო ანტირელიგიური აგიტაციისა და პროპაგანდის წარმართვა ვერ შეძლეს. ხელისუფლება მოსახლეობის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან ამ რეგიონს ზურგს უმაგრებდა ბოლშევიკების საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი, განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმი“. „ჩოლოყაშვილისეული ბანდიტიზმი მოსვენებას არ გვაძლევსო“ – აღნიშნავდნენ ხელისფლების

წარმომადგენლები. არეულობას ადგილი ჰქონია თელავშიც, სადაც დაუკავებიათ ჩოლოყაშვილის რაზმთან დაკავშირებული მღვდელი და დიაკვანი. (დოლიძე, 2010: 50-53)

ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921) ოკუპაციის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყანაში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უჭერდა მხარს. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას 1922 წლის მემორანდუმი გენუის საერთაშორისო კონფერენციის მიმართ. საქართველოს ეკლესიის მეთაური ბოლშევიკურ ხელისუფლებას „ოკუპანტებს“ უწოდებდა და ღიად ითხოვდა, საერთაშორისო საზოგადოებას მხარი დაეჭირა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის: „ოკუპანტები მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად გრძნობს თავს ბედნიერად ქართველი ერი ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთმა ნამდვილმა წინამძღვარმა! ... საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებებსა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება“. (ვარდოსანიძე, 2001: 68) ბოლშევიკურმა მთავრობამ კათოლიკოს-პატრიარქს მხილება არ აპატია. ის დააკავეს საკათალიკოსო საბჭოს რამდენიმე წევრთან ერთად (ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარ ლეჟავა, დეკანოზები: კ. ცინცაძე, მ. ტყემალაძე, და სხვები), თუმცა პატრიარქი და მისი თანამებრძოლები ვერ გატეხეს. კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს ძირითადი შემადგენლობის დაპატიმრების შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებს დროებით განაგებდა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დანიშნული მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ციცქიშვილი).

ანტირელიგიური კამპანია კიდევ უფრო ამძაფრებდა სასულიერო ფენისა და რელიგიური მოსახლეობის უკმაყოფილებას საბჭოთა მთავრობის მიმართ. განმათავისუფლებელ მოძრაობას, კერძოდ, 1924 წლის აჯანყებას, სამღვდელოების წარმომადგენლებიც უერთდებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობისას ათასობით რეპრესირებულ, დაპატიმრებულ და დახვრეტილ ადამიანთა შორის სასულიერო პირებიც იყვნენ. (სარია, 2019: 156-157)

შსს საარქივო სამმართველოში არსებული მონაცემების მიხედვით 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის ადგილზე შექმნილი საგანგებო სამეულების მიერ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა 832 ადამიანს მიესაჯა, აქედან 44 სასულიერო პირი იყო. (კლდიაშვილი, 2010: 109) აჯანყებაში მონაწილეობისთვის დახვრიტეს მარტყოფის, ნორიოსა და ახალსოფლის ეკლესიის მოძღვრები ივანე თუშმალიშვილი, გიორგი მაცუკაძე, გიორგი ინაშვილი. ქუთაისის პოლიტბიუროს საგანგებო სამეულის დადგენილებით (1924, 1 სექტემბერი) სასჯელის უმაღლესი ზომით _ დახვრეტით დაისაჯნენ, იმერეთში, სოფ. როდინაულში სტუმრად მყოფი, პატიმრობიდან ახლად

გათავისუფლებული ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, დეკანოზები გერმანე ჯაჯანიძე და იერეთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე. მღვდელმთავარი, თავის გუნდთან ერთად მორწმუნეთა თხოვნით, დახურული ეკლესიის აღსადგენად იყო მიწვეული. მათ დაბრალდათ კონტრრევოლუციურ, არალეგალურ შეკრებაში მონაწილეობა. დაპატიმრებულთა საქმე იმ სამეულთან მოხვდა, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებულებს ასამართლებდა, რამაც მათი სასიკვდილო განაჩენი არ დააყოვნა. (კლდიაშვილი, 2010: 101; კერესელიძე, 2010: 87)

ანტირელიგიური კამპანიისა და ეკლესიების მასობრივი დახურვის შეჩერების თხოვნით საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს ხელისუფლებისთვის არაერთხელ მიუმართავთ. საარქივო მასალებში დაცულია 1923 წლის გაზაფხულზე თელავის მაზრის მოსახლეობის (765 ხელმოწერით დადასტურებული) თხოვნა, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიხა ცხაკაიასადმი, დახურული ეკლესიების აღდგენის შესახებ: „ასეთი უპატივცემულობა ადამიანის რწმენისადმი აღელვებს ხალხს, ამისთვის გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, რათა თელავში გახსნან ყველა ეკლესიები, და ამით მისცეთ საშუალება მორწმუნეებმა შეასრულონ ღვთის მსახურება“. (კერესელიძე, 2010: 84) იგივე თხოვნა ჰქონია სიღნაღის მაზრის მოსახლეობასაც. საყურადღებოა, 1923 წლის 3 ივნისს თბილისის ქართველი სამღვდელოების საინიციატივო ჯგუფის მთავრობისადმი წარდგენილი განცხადება: „... სარწმუნოებრივი ორგანიზაცია ჩვენი სდგას და იდგება ყოველივე პარტიულ და პოლიტიკურ მიმდინარეობის გარეშე, ლოიალურ მოქალაქეობრივ ცხოვრების გზაზე, – საერთო სახელმწიფოებრივი კანონების წინაშე პასუხის მგებლობით“. ჯგუფი გამოხატავდა ეკლესიის მზაობას მართვა-გამგეობაში სათანადო ცვლილებების გატარების შესახებ და დასკვნაში აღნიშნავდა: „ქვეყნისა და კულტურის საკეთილდღეოდ, ჩვენ გთხოვთ, გარკვეულ და შესაფერ კანონმდებლობის ქვეშ გამოცხადებულ იქნას ჩვენი ეკლესია და მისი სამღვდელოება“. (კერესელიძე, 2010: 83-84) პრაქტიკულად, ეს იყო თხოვნა, ეკლესიის იურიდიული აღიარებისა და სახელმწიფოსთან მისი ურთიერთობის კანონმდებლობის ჩარჩოში მოქცევის შესახებ. თუმცა ამგვარი მიმართვები ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების მიღმა რჩებოდა.

1921-1924 წლის ანტირელიგიური კამპანიის პირველი ტალღა ხასიათდება ეკლესიების დიდი ნაწილის დახურვით, კლუბებად ან ქოხსამკითხველოებად გადაკეთებით; დაშალეს მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ტაძარი, რომელთა ქვებს სამშენებლო მასალად იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ ასეთ რთულ ვითარებაში ეკლესია-მონასტრებში დაცული საეკლესიო ნივთების, ხატების, საეკლესიო ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების შენარჩუნება მაინც მოხერხდა სიძველეთა, ხელოვნების და ძეგლთა დაცვის განყოფილების მუშაობის შედეგად. სიძველეთა კომიტეტის ჩარევით დანგრევას გადაურჩა გელათის, ალავერდის, მოწამეთას, ქაშუეთის ტაძრები. (ვარდოსანიძე, 2001: 106-107) XX ს-ის 20-იან წლებში

საქართველოს სიძველეთა გადარჩენის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გიორგი ბოჭორიძეს. 1923-1926 წლებში მან იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მოგზაურობისას აღუწერავს 900-მდე მონუმენტური ძეგლი, 2260-მდე ისტორიული ნივთი, 540 ხელნაწერი, 200-მდე ძველი სტამბური წიგნი. მის აღწერებში ვხვდებით ბევრ მანამდე უცნობ ეკლესიას, რომელიც მოგვიანებით გაანადგურეს და ცნობები მათ შესახებ გიორგი ბოჭორიძის ჩანაწერებით შემორჩა. (გურგენიძე, 1986: 161-167).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ათეისტური პროპაგანდა 1925-1927 წლებში. 1924 წლის დასასრულისკენ საბჭოთა სახელმწიფოს ეკლესიისადმი დამოკიდებულება რამდენადმე გადაისინჯა. ის თითქოს უფრო კომპრომისული გახდა. ეს პროცესი გარკვეულწილად დაუკავშირდა ტროცკის წინააღმდეგ იდეოლოგიურ კამპანიას, რომლის მიზანიც საზოგადოების ფართო მასებში ამ პოლიტიკოსისა და მისი დაჯგუფების დისკრედიტაცია და ხელისუფლებიდან ჩამოშორება იყო. შეცდომად ჩაითვალა და კრიტიკის ობიექტად იქცა მისი ხისტი რელიგიური პოლიტიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით. სსრკ-ს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეკლესიისადმი ზომიერი მიდგომა უფრო მომგებიანად ჩათვალა. ამან განაპირობა საეკლესიო-სარწმუნოებრივი პოლიტიკისა და ეკლესიის ფუნქციის ახლებური გააზრება: ეკლესია საბჭოთა პოლიტიკური სისტემისა და იდეოლოგიის დამცველი და გამტარებელი უნდა გახდარიყო. ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის მთავარ მიმართულებად განისაზღვრა, რომ ეკლესია ჩართულიყო საბჭოური სისტემის პროპაგანდის სამსახურში. (პავლიაშვილი, 2008: 444-446)

საეკლესიო-სარწმუნოებრივი პოლიტიკის ეს ტენდენციები საქართველოშიც წარმოჩნდა, 1924 წლის შემოდგომისთვის საქართველოს მთავრობამ გააჟღერა, რომ ათეისტურმა კამპანიამ საქართველოში გადამეტებული მასშტაბები მიიღო. 1924 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს ცკ-ის მდივანი მ. კახიანი აგვისტოს აჯანყების შესახებ დასკვნით სიტყვაში აღნიშნავდა, რომ პარტიის მუშაობის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენდა ანტირელიგიური კამპანიის მეთოდები, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილი საბჭოთა ბანაკს ჩამოაშორა და მოწინააღმდეგის მოკავშირე გახადა. ის განმარტავდა ათეისტური კამპანიის ცვლილების აუცილებლობას, ეკლესიების დახურვის შეწყვეტას, მათი გახსნისა და ღვთისმსახურების აღდგენის ხელშეწყობას, სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო სამლოცველო სახლების რელიგიური ჯგუფებისთვის იჯარით გადაცემა (კლდიაშვილი, 2010: 102-103, 111)

კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიასა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების პატიმრობის პერიოდში, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის დროებითი ხელმძღვანელისგან მიიღო პირობა, გამიჯნოდა საკათალიკოსო საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც უპირისპირდებოდნენ საბჭოთა რეჟიმს და ეთანამშრომლა ხელისუფლებასთან. განცხადებაში, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის თანამოსაყდრის ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) სახელით შესრულდა, აღნიშნული იყო: „ვაცხადებთ, რომ ვართ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქენი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლე-

სიის წევრნი, რომელნიც ვაღიარებთ მუშურ-გლეხურ კომუნისტურ ხელისუფლებას, ვემორჩილებით მას, არ ვაწარმოებთ მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას“. (ვარდოსანიძე, 2001: 105)

1924 წლის 21 ნოემბერს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მიიღო დეკრეტი „რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ“. ახალი დადგენილებით მოქალაქეებს მიეცათ ტაძრებისა და სამლოცველო სახლების გახსნის, ასევე, ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი ქონების განკარგვის უფლება. დამფუძნებელ წევრთა რიცხვი უნდა ყოფილიყო არანაკლებ შვიდისა. 1924 წლის 7 დეკემბერს გამოიცა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია, რომლის თანახმად სასულიერო პირებს ნება დართეს მხოლოდ რელიგიური და რელიგიურ დამრიგებლური ხასიათის ქადაგების უფლება. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტი 1924 წლის დეკემბრის ცირკულარებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან კატეგორიულად ითხოვდა, უარი ეთქვათ ეკლესიების ადმინისტრაციული წესით დახურვის პრაქტიკაზე, ამით ხელისუფლება პრაქტიკულად აღიარებდა ანტირელიგიური კამპანიის დროს დაშვებულ შეცდომებს. (ვარდოსანიძე, 2001: 104-105) პარალელურად, დაიწყო გაუქმებული და განადგურებული ეკლესია-მონასტების აღდგენა. მოსახლეობაში თითქოს შესუსტდა ათეისტური აგიტაცია-პროპაგანდა. ხელისუფლებამ ეკლესიას ხელი შეუწყო ერთეული ოფიციალური სასულიერო გამოცემის, სასწავლებლისა და გამომცემლობის დაარსებაში. (პავლიაშვილი, 2010: 445-446) ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკის ამოცანას წარმოადგენდა ეკლესიის გადაქცევა საბჭოთა იდეოლოგიური პროპაგანდის შემადგენელ ნაწილად, რომლის მიზანი ეკლესიის საბჭოთა სისტემის სამსახურში ჩაყენება იყო.

ეკლესიის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის გადასინჯვა გარკვეულწილად დაუკავშირდა, ასევე, რუსეთის ეკლესიაში „განახლების მოძრაობის“, ხოლო საქართველოში „ახალი ეკლესიის“ გააქტიურებას. ჯერ კიდევ, 1922 წლიდან „განახლების მოძრაობის“ მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო რუსეთში კომუნისტური რეჟიმის მომხრე სამღვდელოების ჯგუფის შექმნა, რომელმაც საზოგადოების ფართო ფენებში სოციალისტური იდეოლოგიის მხარდამჭერი ფუნქცია იტვირთა. შესაბამისად, „განმაახლებლები“ („ობნოვლენცები“) აქტიურად დაუპირისპირდნენ ტრადიციული ეკლესიის სამღვდელოებას, მათ შორის, სრულიად რუსეთის პატრიარქს ტიხონს, რომლის გარდაცვალების შემდეგ, რუსულ ეკლესიას 1943 წლამდე პატრიარქი აღარ აურჩევია. „განმაახლებლები“ ავტოკეფალური ეკლესიების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. მათი მიზანი, ეკლესიის „მოდერნიზაციასთან“ ერთად, იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც 1917 წელს აღიდგინა ავტოკეფალია და დამოუკიდებელი რელიგიური ორგანიზაციის სტატუსით სარგებლობდა, მნიშვნელოვანი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. (არაბიძე, 2023: 241).

ისტორიკოსი ირინა არაბიძე, რომელიც იკვლევს „განახლების მოძრაობას“ საქართველოში, მიიჩნევს, რომ 1922 წელს რუსეთში „განმაახლებლების“ მიერ სასულიერო ხელისუფლების მიტაცების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა აღნიშნული მოძრაობის გავლენა საქართველოზეც გაევრცელებინა. ქართველი სამღვდელოებისთვის ცხადი იყო, რომ „განმაახლებლები“ საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას, ამიტომ 1922 წელს საქართველოს ეკლესიამ, კათოლიკოს-პატრიარქის თაოსნობით, იმთავითვე უარყო ადგილობრივი მთავრობისგან „განმაახლებლებთან“ შეერთების შეთავაზება. „განახლების მოძრაობამ“ საქართველოს ტერიტორიაზე არაქართულ სამრევლოთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილში შეაღწია. ეს იყო თბილისში მოღვაწე დეკანოზ იოანეს (ლოზოვოი) ჯგუფი, რომელიც, საეკლესიო სამართლის დარღვევით, არ აღიარებდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციას. ის ჯერ ექვემდებარებოდა კავკასიის საეგზარქოსოს, შესაბამისად, „ტიხონის ეკლესიის“ ნაწილად თვლიდა თავს, 1922 წელს კი მოსკოვში „განმაახლებელთა“ შექმნილ „უმაღლეს საეკლესიო მმართველობას“ შეუერთდა. წყაროებში მითითებულია, ასევე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლის (დეკანოზები: იოსებ ჩიჯავაძე, ილარიონ ოქროპირიძე და კირილე ჯავახია) კავშირი „ობნოვლენცებთან“. (არაბიძე, 2023: 245-246; 250; 257) მათთან 1925 წლიდან მიმოწერა ჰქონია იმხანად კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს ქრისტეფორე ციცქიშვილს. ამ ურთიერთობის დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს, 1927 წლის 8 თებერვალს „განმაახლებელთა“ მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შემდეგ, იოანე ლოზოვოის ხელმძღვანელობით „ობნოვლენცების“ ჯგუფის საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში შესვლა და მასთან გაერთიანება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „განმაახლებელთა“ მხრივ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის მიუხედავად (1927), საქართველოს ეკლესიას მათთან ლოცვით - ევქარისტული კავშირი არასოდეს ჰქონია, ქართველ სამღვდელოებაზე და ეკლესიაზე ამ მოძრაობამ ზეგავლენა ვერ მოახდინა. (არაბიძე, 2023: 252; 255-256).

სამაგიეროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა, საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქისთვის დაეპირისპირებინა ე. წ. „პროგრესისტი“, სამღვდელოების ჯგუფი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კურსს უჭერდა მხარს. საქართველოში ეს პროცესი 1923 წლიდან „ახალი ეკლესიის“ ჩამოყალიბების მცდელობით გამოიხატა. „ახალი ეკლესიის“ მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ კომუნისტურ პოლიტიკურ ელიტასთან კავშირი სასულიერო წოდებასა და ეკლესიას მდგომარეობას შეუმსუბუქებდა.

1926 წლის 26-27 დეკემბერს მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი), ქუთათელ ეპისკოპოს დავითთან (კაჭახიძე) ერთად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) გვერდის ავლით ქუთაისში მოიწვია საეკლესიო კრება, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დაარსების, საქარ-

თველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს დათხოვნის და სრულიად საქართველოს IV საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ.

დელეგატებმა დაგმეს კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს ანტიკომუნისტური პოზიცია. ქუთაისის კრებამ საკათალიკოსო საბჭოს ანტისაბჭოთა მემორანდუმს „უგუნური და მოუფიქრებელ საქციელი“ უწოდა, რაც, მათი აზრით, საბჭოთა მთავრობის ანტირელიგიური კამპანიის მიზეზი გახდა. კრების მონაწილეები სოციალიზმს ქრისტიანობისთვის სასურველ ფორმაციად აღიარებდნენ, მხოლოდ მის ათეიზმს არ ეთანხმებოდნენ. ყრილობის დელეგატები თვლიდნენ, რომ ეკლესიაში არსებული წინააღმდეგობის გადალახვა ხელისუფლებასთან კომპრომისითა და რეფორმების გატარების გზით იყო შესაძლებელი. (პაპუაშვილი, 1996: 25; ვარდოსანიძე, 2001: 127-131).

ეს მოვლენები საეკლესიო მართვა-გამგეობის სფეროში გადატრიალებას მოასწავებდა. მართალია, უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ქუთაისის საეკლესიო კრება და მისი გადაწყვეტილებები უკანონოდ გამოაცხადა, მაგრამ დროებითმა მმართველობამ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დახმარებით, პატრიარქ ამბროსის ჩამოართვა საპატრიარქო კანცელარია, ბეჭედი და რეალურად ხელში აიღო ეკლესიის მართვა-გამგეობა. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გარდაცვალების შემდეგ მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) IV საეკლესიო კრებამ (1927 წლის 21-27 ივნისი) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. საქართველოს ეკლესიის იერარქიაში პროსაბჭოურმა ფრაქციამ გაიმარჯვა. გაუქმდა საკათალიკოსო საბჭო, პრაქტიკულად, დაწესდა კათოლიკოს-პატრიარქის ერთპიროვნული მმართველობა.

აღსანიშნავია, რომ კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე III-ისა და „პროგრესისტების“ ჯგუფის საბჭოთა ხელისუფლებასთან შემრიგებლურმა კურსმა, კომპრომისმა საქართველოს ეკლესიას სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. სულ მალე ანტირელიგიურმა კამპანიამ არნახული ფორმები და ხასიათი შეიძინა. ასეთ ვითარებაში მღვდლების ნაწილმა მიატოვა მრევლი, გაიხადა ანაფორა. ეკლესიის კრიზისიდან გამოყვანის ყოველგვარი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ვერც სრულიად საქართველოს V საეკლესიო კრებამ გამოიღო შედეგი, რომელმაც განსაზღვრა საეკლესიო შინაგანაწესი, ახალ გარემოში საეკლესიო პირთა იურიდიული სტატუსი.

კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის (1927-1932) გარდაცვალების შემდეგ VI საეკლესიო კრებამ კათოლოკოს-პატრიარქად აირჩია კალისტრატე ცინცაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით, სამეცნიერო წრეებში. მისი მცდელობით ხუროთმოძღვრების არაერთი ძეგლი გადაურჩა დანგრევას, მათ შორის, ქაშუეთის ტაძარი თბილისში, თუმცა ანტისაეკლესიო კამპანიის აცილება მან ბოლომდე ვერ შეძლო.

ანტირელიგიური კამპანია და ათეისტური პროპაგანდის ფორმები (მე-20 ს-ის 20-იანი წლების ბოლო – 30-იანი წლები). მე-20 ს-ის 20-30-იანი წლების მიჯნაზე აქტუალური გახდა „კულტურული რევოლუციისა“ და

„სოციალისტური რეალიზმის“ იდეალებისა და იდეოლოგიური პრინციპების შესაბამისი ახალი ადამიანისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების ფორმირება. ეს გულისხმობდა რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასაც.

სსრკ-ში ანტირელიგიური პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი 1925 წლიდან გახდა მოსკოვში დაარსებული ორგანიზაცია „უღმერთოთა კავშირი“, რომელსაც 1929 წელს ამ ორგანიზაციის II ყრილობაზე ოფიციალურად ეწოდა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ –„მუკი“. მისი დამაარსებელი იყო ემელიანე მიხეილის ძე იაროსლავსკი (1878-1943) (ფსევდონიმი: მინეი ისრაელის ძე გუბელმანი). ამ ორგანიზაციის რეგიონული ფილიალები შეიქმნა მთელ სსრკ-ს ტერიტორიაზე. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური ორგანიზაცია, რომელიც ცენტრიდან წამოსული დირექტივების შესაბამისად იმართებოდა, ამიტომ „მუკის“ ანტირელიგიური პროპაგანდის ძირითადი ფორმები და მეთოდები სსრკ-ს სხვადასხვა რეგიონში პრაქტიკულად ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა. თუმცა, ბუნებრივია, მისი საქმიანობის პათოსი, აქტიურობა, შედეგები ცალკეული მხარების თავისებურებებით განისაზღვრებოდა.

საქართველოში „უღმერთოთა კავშირი“ 1927 წელს შეიქმნა საბჭოთა პოლიტიკოსისა და პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლის სილიბისტრო თოდრიას (1880-1936) თავმჯდომარეობით. „მუკში“ („მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“) გაწევრიანება თოთხმეტი წლიდან შეიძლებოდა. მისი სტრუქტურული უჯრედების ჩამოყალიბება დაიწყო ქარხნებში, კოლმეურნეობებში და სასწავლო დაწესებულებებში. (პავლიაშვილი, 2008: 464-474; ბარბაქაძე, 2010: 68-69)

1929 წელს ამ ორგანიზაციის II საკავშირო ყრილობამ გააკრიტიკა წარმოებული ანტირელიგიური კამპანია და ახალი გეგმები დასახა. 1932 წლიდან სსრკ-ში გამოცხადდა ანტირელიგიური – ე. წ. „უღმერთო ხუთწლედი“, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას მოიცავდა. ხუთწლედის გეგმის მიხედვით: 1933 წელს კვლავ უნდა დახურულიყო მოქმედი ეკლესიები; 1934 წელს გაუქმებულიყო ყველა რელიგიური ტრადიცია; 1935 წელი ითვალისწინებდა ტოტალურ ანტირელიგიურ კამპანიას; 1936 წელს ქვეყანაში სასულიერო პირები აღარ უნდა ყოფილიყვნენ; 1937 წელს სსრკ მთლიანად ათეისტურ ქვეყნად უნდა ქცეულიყო და რელიგიაზე გამარჯვება ეზეიმათ. (მეტრეველი, 2014: 109-110; სილაგაძე, 2014: 90-91, 98; ბასილაძე, 2010: 4-5)

ანტირელიგიური პროპაგანდისთვის ამოქმედდა პრესა, გამომცემლობები, მუზეუმები, კინოთეატრები. სილიბისტრო თოდრიას რედაქტორობით იბეჭდებოდა პერიოდული ორგანო – ჟურნალი „მებრძოლი უღმერთო“. ასევე გამოდიოდა ანტირელიგიური ჟურნალები „მებრძოლი ათეისტი“, „საქართველოს უღმერთო“, „რელიგიის წინააღმდეგ“ და სხვა. ათეისტური პროპაგანდის ქსელში ჩაერთო ისეთი მძლავრი პროპაგანდისტული ინსტრუმენტი, როგორიც იმ მომენტისთვის იყო თეატრი, რადიო და კინო. ჩამოყალიბდა დრამბრიგადა, რომელიც ქვეყანაში მოგზაურობდა და ანტირელიგიურ სპექტაკლებს ატარდებდა საქართველოს მასშტაბით.

1930 წელს დაიწყო 1920-იანი წლების ათეისტური პროპაგანდის ერთ-ერთი უარყოფილი ფორმის – ანტიეკლესიური კარნავალების აღორძინება; „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ცენტრალური საბჭო თავის საინს-ტრუქციო წერილში აქტივისტებს მოუწოდებდა ანტისააღდგომო კამპანიის გამართვისას „მიტინგების, დემონსტრაციების, კარნავალების" მოწყობას.

განსაკუთრებული იყო რადიოსა და კინოს გამოყენებაზე დამყა-რებული პროპაგანდის ეფექტურობა, რაც მაშინ ტექნოლოგიურ სიახლეს წარმოადგენდა და ძლიერი ფსიქოლოგიური ეფექტის გამოწვევა შეეძლო ფართო მასებში. საქართველოს კინომრეწველობას („საქკინმრეწვს") პირ-დაპირი მითითება ჰქონდა მხატვრულ ფილმებში სასულიერო პირების, ეკლესიისა და საეკლესიო რიტუალების გამასხარავება და დისკრედიტაცია.

1930 წელს თბილისში ანტირელიგიური მუშათა უნივერსიტეტი გაიხს-ნა, 1937 წელს კი თბილისში ნორაშენის ეკლესიაში – ანტირელიგიური მუზეუმი, რომელიც „მუკს" ექვემდებარებოდა და მისი დირექტივებით იმართებოდა. დიდი ყურადღება დაეთმო ათეისტი პროპაგანდისტებისა და აგიტატორების მომზადებას, უმაღლეს სასწავლებლებში რელიგიის ისტორიისა და ანტირელიგიური პროპაგანდის კათედრების შექმნას და სხვა. აგიტაციის პროცესში ჩართეს ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია, მასწავლეებლები. (ბარბაქაძე, 2010: 69-70)

პარალელურად მუშაობდა ანტირელიგიური პროპაგანდის სხვადასხვა მეთოდი, რომელშიც გარკვეული როლი პრესას, აქტივისტებს, საჯაშუშო ქსელს და აგენტურას, საგანმანათლებლო სისტემას და კულტურას უნდა შეესრულებინა. მათი მიზანი იყო ეკლესიისა და სასულიერო პირების დისკრედიტაცია, მათი ავტორიტეტის დაკნინება, ეკლესიისგან ახალგაზრდობის ჩამოშორება და ა. შ. 1931 წლის მონაცემებით, ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში მოქმედი 1450-მდე ეკლესია 350-მდე შემცირდა, ღვთისმსახურთა რიცხვი 1600-დან 300-მდე, ხოლო 25 მოქმედი მონასტრიდან დარჩა მხოლოდ ხუთი. 1930-იანი წლების სტალინურ რეპრე-სიებს ქართველი სამღვდელოების უამრავი წარმომადგენელი ემსხვერპლა.

„მუკში" გაერთიანდა 120 ათასამდე ადამიანი. აგიტატორებს შორის ყველა პროფესიის ადამიანს შეხვდებოდით. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანი-ზაციამ ვერ შეძლო საზოგადოების რელიგიისგან გაუცხოება, მისი ლიდერის, ემელიანე იაროსლავსკის გარდაცვალების შემდეგ, „მუკის" მუშაობა შე-სუსტდა, მეორე მსოფლიო ომის დროს მან ფუნქცია შეიცვალა – ნაციზმის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა, 1947 წელს კი „უღმერთოთა" ორგანიზაცია საბოლოოდ გაუქმდა.

აღსანიშნავია რომ, საბჭოთა ადამიანის ათეისტური მსოფლმხედვე-ლობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მწერლობას. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა წარმოჩენილი საბ-ჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს ზეწოლა და პოლიტიკურ-ლი-ტერატურული ტერორი ქართულ მწერლობაზე. აკაკი ბაქრაძე, თავის ნაშრომში „მწერლობის მოთვინიერება" აღნიშნავდა, რომ კომუნისტების დამოკიდებულება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებისადმი, სწორედაც, რელიგიურია და არა მეცნიერული: „ათეისტური საზოგადოების იდეალი

ღმერთი სსრკ-ის ათეისტურ საზოგადოებაში იცვლებოდა პარტიული ადამიანით, უფრო ზუსტად კომუნისტით. რაკი კომუნისტის იდეალურ განსახიერებად ლენინი ითვლებოდა, იგი იკავებდა ღმერთის ადგილს. მუშავდებოდა და ინერგებოდა ფორმულა – არ არის ღმერთი, გარდა ლენინის. ამის გაცნობიერება მკაფიოს ხდიდა, რომ სსრკ-ში ბატონდებოდა ახალი რელიგია – მარქსიზმ-ლენინიზმი". (ბაქრაძე, 2019: 132) ამ მოძღვრების „რელიგიურ-სარწმუნოებრივ" ხასიათს მიუთითებდა შემდეგი ფაქტორები: მარქსიზმ-ლენინიზმის ზე მეცნიერებად გამოცხადება, მისი განუსჯელი აღიარება ანუ უპირობო რწმენა, ყოველი მოქალაქისთვის სავალდებულო ცოდნა და კრიტიკის აკრძალვა, მოძღვრების ფუძემდებელი ბელადების, პარტიული ლიდერების გაფეტიშება. (ბაქრაძე, 2019: 134-139) ჩვეულებრივი მოკვდავების ამგვარ კულტს ა. ბაქრაძე თეიზმის ყველაზე მანკიერ ფორმად მიიჩნევდა, რომელიც არღვევდა უპირველეს ზნეობრივ მცნებას – „არა ქმნენ თავისა შენისა კერპნი". პარტიული ლიდერებისგან წარმოქმნილი საკუთარი „წმინდანებით" საბჭოთა მწერლობამ, ქრისტიანული მწერლობის მსგავსად, შექმნა აგიოგრაფიულ ჟანრი, რომელსაც ეკუთვნის ლენინიადა, სტალინიადა, ძერჟინსკიადა და ა. შ. (ბაქრაძე, 2019: 138)

თანამედროვე კრიტიკოსმა საბა ფირუზ მეტრეველმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალა „კომუნისტური აგიოგრაფიის" ძირითადი კონცეპტების თემა და გააანალიზა ქართული საბჭოთა მწერლობის იდეოლოგიური ესთეტიკა. (მეტრეველი, 2014: 7) მან უჩვენა „კომუნისტურ აგიოგრაფიის" ერთგვარი ანალოგიები და სახესხვაობა აგიოგრაფიულ ჟანრთან, ახსნა როგორ გამოიყენა ათეისტურმა სახელმწიფომ ქრისტიანული აგიოგრაფიის არქეტიპი და დოგმატური, ღმერთთან მებრძოლი დოქტრინით შექმნა კომუნისტური აგიოგრაფია, როგორც ახალი რელიგიის (კომუნისტური რელიგიის) იდეოლოგია; აქცია ის ახალი ადამიანის, კერძოდ, საბჭოთა ადამიანის ფორმირების ან ზომბირების იარაღად.

საბჭოთა მწერლების დიდი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. 1921 წლის 17 დეკემბერს დაფუძნდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელმაც 1932 წლამდე იარსება. ეს ორგანიზაცია თვისობრივად წარმოადგენდა „რაპპ"-ის ანუ „რუსეთის პროლეტმწერალთა ასოციაციის" (Российская ассоциация пролетарских писателей) ფილიალს საქართველოში. „რაპპელები" სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტური საზოგადოების ფორმირებას და დაიწყეს პარტიის სახელით მწერლობისთვის სავალდებულო ნორმების დაწესება. მათ თავისი არსებობის მანძილზე უმძიმესი გავლენა მოახდინეს ქართული ლიტერატურის ისტორიაზე და ზოგადად, ერის ცხოვრებაზე. საბა ფირუზ მეტრეველის აზრით, პროლეტმწერლობა იყო ბოლშევიკური ტერორის სტილი, რომელმაც გაამრუდა არა მხოლოდ ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი ხაზი, არამედ დაშალა ადამიანი, დაანგრია რწმენა და სული, დეფორმირებული გახადა სამყარო. შეიქმნა და ჩამოყალიბდა „საბჭოთა მტრის" ხატი, მნიშვნელობა დაკარგა ადამიანმა. მწერლობამ, ჰუმანიზმის ნაცვლად, დაამკვიდრა კლასობრივი სიძულვილი. „რაპპელების" უკიდურესი რადიკალიზმი ეფუძნებოდა პარტიის დადგენილებებსა და რეზოლუციებს, ბელადის სიტყვებსა და გამოთქმებს (მეტრეველი, 2014, 255-256; 295-296).

მე-20 ს-ის 30-იანი წლებიდან საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურაში მკვიდრდება მხატვრული გამომსახველობის ახალი მიმართულება – სოციალისტური რეალიზმი. ეს მიმდინარეობა სამყაროს, ადამიანისა და საზოგადოების განვითარების სოციალისტურ კონცეფციებს დაემყარა: სოციალისტური ცხოვრების წესის, პარტიული ბელადებისა და ლიდერების განდიდება – ხელოვნების მთავარ თემად იქცა.

საბჭოთა მწერლობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა საბჭოთა ლიდერის სტალინის ანტირელიგიურ მოწოდებას: „პარტიას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური რელიგიურ ცრურწმენათა გამტარებლების მიმართ, რომელიც სწამლავს მშრომელი მასების შეგნებას. დავთრგუნეთ თუ არა რეაქციული სამღვდელოება? - დიახ, დავთრგუნეთ, ოღონდ უბედურება იმაშია, რომ იგი ჯერ კიდევ სავსებით არ არის ლიკვიდირებული ". (სტალინი, 1933: 14).

ლიტერატურამ და ბეჭდურმა მედიამ აიღო გეზი სასულიერო წოდების დისკრედიტაციიდან განადგურებამდე. საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა დასცინოდა და ებრძოდა სამღვდელოებას, აშარჟებდა, სახელმწიფოს მტრებად გამოჰყავდა ისინი, იყო მათი ლიკვიდაციის მოწოდებები, დაუსრულებელი საუბრები მათ მავნე საქმიანობაზე და ა. შ. საბჭოთა სახელმწიფოში მწერლობა პოლიტიკური და ანტირელიგიური პროპაგანდის მძლავრ საშუალებად განიხილებოდა: „საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურამაც, რასაკვირველია, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ანტირელიგიურ პროპაგანდაში. მხატვრული სიტყვა უნდა გახდეს შეურყეველი არგუმენტი ანტირელიგიურ მუშაობაში", – წერდა პროლეტარული მწერლობის ცნობილი კრიტიკოსი შ. რადიანი. (მეტრეველი, 2014: 223-224). ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი". 1930-იანი წლების დასაწყისში „მუკმა" დიდი ადგილი დაუთმო ანტირელიგიური წიგნის პოპულარიზაციას. საკმაოდ დიდი ტირაჟით ვრცელდებოდა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" თავმჯდომარის ს. თოდრიას იუმორისტული ჟანრის წიგნები: „დაბადება ანუ ბიბლია", „ძველი და ახალი აღთქმანი". საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს ინიციატივით იბეჭდებოდა პარტიული ლიდერების გამონათქვამები რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ და სხვა.

ახალი სისტემის პროპაგანდის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მწერლობასთან ერთად მხატვრობაც იქცა. საბჭოთა პერიოდის მხატვრობამ, შექმნა პარტიული ლიდერების ერთგვარი კულტი. საბჭოთა ლიდერების სურათები ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტი გახდა: ისინი იყვნენ სკოლაში, სამსახურში, მიტინგებზე. ჩამოყალიბდა საბჭოთა მხატვრობის, განსაკუთრებით მის ადრეულ პერიოდში, მტკიცედ დადგენილი სისტემა, რომელიც განსხვავებული სიუჟეტისა და ფერწერის ტექნიკის მიუხედავად, გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებდა იკონოგრაფიასთან. როგორც საეკლესიო მხატვრობაში, არსებობდა საეკლესიო ფერწერისა და გამომსახველობითი ხელოვნების დადგენილი, მკაფიო წესები, ასევე, სოციალისტურ მხატვრობაშიც, დადგინდა განსაზღვრული პრინციპები, რომლის დაცვაც მოეთხოვებოდა ხელოვანს.

რელიგიური პერსონაჟების პარტიული ლიდერების კულტით ჩანაცვლებამ, წარმოშვა გარკვეული ურთიერთმიმართება სრულიად გან-

სხვავებული შინაარსის ორ მხატვრობას – ხატწერასა და სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას შორის: თუ ცენტრალური თემა და ცენტრალური პერსონაჟი ხატწერაში წმინდანია, საჭოთა ხელოვნებაში მხატვრობის ცენტრალურ პერსონჟებს ხშირ შემთხვევაში პარტიის ბელადები, წინამძღოლები, მოძღვრების ფუძემდებლები წარმოადგენენ; დამახასიათებელია პერსონაჟის ღვთაებრიობის ხაზგასმა. ამ ეპოქის მხატვრობაში პარტიის ლიდერები იდეალურ ადამიანებად გამოისახებიან, ანათებენ სიკეთითა და შინაგანი შუქით. „გასხივოსნებული“ პარტიული ლიდერების პარალელურად, ეკლესიისა და სამღვდელოების დისკრედიტაციის მიზნით, ბეჭდურ მედიაში სისტემატურად ქვეყნდებოდა საბჭოთა მხატვრების შესრულებული კარიკატურები და შარჟები რელიგიურ და საეკლესიო თემებზე, ასევე სასულიერო პირებზე.

საბჭოთა სახელმწოფოში, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, დიდი ზიანი მიადგა ქართულ საეკლესიო ხელოვნებას – საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქრისტიანული მხატვრობის ორიგინალურ, ძლიერ, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სკოლას. რუსეთის იმპერიის (1801-1917) პოლიტიკურ საზღვრებში ყოფნისას, საქართველოში საეკლესიო ხელოვნებამ დაკარგა თვითმყოფადი ხასიათი; ქართული ეროვნული საეკლესიო ხელოვნების განვითარება საკმაო დროით შეჩერდა და, სპეციალისტების შეფასებით, „ის იმხანად რუსეთში გავრცელებული რუსულ-ევროპული ყაიდის ხელოვნების პერიფერიულ განშტოებად იქცა“. (ბურჭულაძე, 2009: 9; 12)

ქართული საეკლესიო ხელოვნების განვითარებას კიდევ უფრო მძიმე პერიოდი დაუდგა საბჭოთა ტოტალიტარულ სახემწიფოში. მე-20 ს-ის 20-იანი წლებიდან, ანტირელიგიური კამპანიის დროს დიდი ზიანი მიადგა ქართულ საეკლესიო ხელოვნებას: ნადგურდებოდა და იკარგებოდა საეკლესიო საგანძური, ხატწერისა და საეკლესიო მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები. ქართველი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეთა ძალისხმევით გადარჩენილი საეკლესიო საგანძურის ნაწილი კი მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებს ჩაბარდა და კულტურულ-ისტორიული ძეგლის სტატუსი მიენიჭა. საეკლესიო ხელოვნების განვითარება საკმაოდ შეფერხდა და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეწყდა კიდეც.[4] (ბურჭულაძე, 2009: 13)

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის რუსულ ხატწერაში ხშირი იყო კომუნისტური პარტიის ლიდერებისა და წმინდანების ერთად გამო-

4 ქართული საეკლესიო ხელოვნების განახლება XX ს-ის 40-იან წლებიდან, ხოლო აღმავლობის პერიოდი 70-იანი წლებიდან დაიწყო. საბჭოთა პერიოდის ქართული საეკლესიო ხელოვნების პირველ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ლადო გუდიაშვილის მიერ ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის საკურთხევლის მონუმენტური მხატვრობა, რომელიც 1946-1948 წწ. კათოლკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის (1932-1952) ძალისხმევით მოიხატა; მონუმენტური საეკლესიო მხატვრობის შემდეგი ნიმუშები ილია II-ის კათოლიკოს-პატრიარქობის დასაწყისს უკავშირდება: 1978-1988 წწ. ალექსანდრე ბანძელაძის მიერ დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესიისა და 1982-1989 წწ. ლევან ცუცქირიძის მიერ თბილისში ღვთისმშობლის მიძინების (სიონის) ტაძრის მოხატულობა. (ბურჭულაძე, 2009, გვ. 12-13; 15-16)

სახვის შემთხვევები, ამ გზით კომუნიზმის ბელადებისა და წმინდანების ერთიანობისა და ღვთაებრივი ბუნების ჩვენება. ასეთ ხატებს სამლოცველოებში განათავსებდნენ. უნდა ითქვას, რომ ქართულ მხატვრობასა და ხატწერაში ამგვარი ტენდენცია არ დამკვიდრებულა (თუმცა შესაძლოა იყო ერთეული შემთხვევები).

დასკვნა

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური ბრძოლის ფორმები, მე-20 ს-ის 20-30-იან წლებში მრავალმხრივობით გამოირჩეოდა; მის ხასიათს განაპირობებდა ქვეყნის საშინაო და სარწმუნოებრივი პოლიტიკის სახელმწიფო კურსის ცვლილებები. განსაკუთრებული დევნა სახელმწიფოს მხრივ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ განიცადა. 1922-1924 წლებში, საბჭოთა კავშირის შექმნის პირველ ხანებში, ეკლესიაზე ზეწოლა განსაკუთრებულად მძლავრია, 1925-1927 წლებში ის შედარებით შერბილდა, ხოლო 20-იანი წლების მიწურულსა და 1930-იან წლებში ანტირელიგიური კამპანია, შესაბამისად ანტირელიგიური პროპაგანდა, ისევ უკიდურეს ფორმებსა და მეთოდებს მიმართავს.

შეტევა ეკლესიის მიმართ სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა:

ეკლესიისა და სასულიერო პირების დისკრედიტაცია და დევნა-შევიწროება, ეკლესია-მონასტრების დახურვა, საეკლესიო სიწმინდეების განადგურება, საეკლესიო დღესასწაულების აკრძალვა და მათი ჩანაცვლება პარტიული თუ კომკავშირული ღონისძიებებით („კომკავშირული შობა“, „კომკავშირული აღდგომა“, ეკლესიის გასამართლება და ა. შ.).

ანტირელიგიურ პროპაგანდასა და ათეისტურ მოძრაობაში მასების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის ჩართვა.

დაპირისპირების გაღვივება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში; ეკლესიის საბჭოთა ხელისუფლების ინტრესებისთვის გამოყენება და მისი საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიურ სამსახურში ჩაყენების მცდელობა.

საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერა „განახლების მოძრაობის“ მიმართ; საქართველოში ტრადიციული საეკლესიო წესრიგის „ახალი ეკლესიით“ ჩანაცვლება.

ანტირელიგიური ორგანიზაციის „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ შექმნა, ათეისტური მოძრაობისა და ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერება: პრესა, ლიტერატურა, განათლების სისტემა, თეატრი, რადიო, მხატვრობა – ანტირელიგიური კამპანიის იარაღი მასებზე ზემოქმედებისთვის.

ანტირელიგიური კამპანია და ათეისტური პროპაგანდა საქართველოში, ძირითადად, იმართებოდა სსრკ-ს ცენტრალურ ხელისუფლების მიერ მოსკოვიდან, შესაბამისი ორგანოებისგან მიღებული დირექტივებისა და გადაწყვეტილებების მიხედვით. მან საგრძნობლად დააზარალა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. მეორე მსოფლიო ომის დროს ხელისუფლებამ, პრაგმატული მოსაზრებების გამო, შეცვალა საეკლესიო პოლიტიკის კურსი ეკლესიის მიმართ, ის უფრო ლოიალური გახდა, რაც რუსეთში პატრიარქობის კვლავ აღდგენით, ხოლო საქართველოში რუსეთის

ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებით გამოიხატა. თუმცა, ეს არ ნიშნავდა ეკლესიის დევნის სრულ შეწყვეტას. 1943 წლის შემდეგ სასულიერო პირთა დაპატიმრება და დახვრეტა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ საბჭოთა ბანაკებში კვლავ იხოცებოდნენ რწმენისთვის გასამართლებული სასულიერო პირები, თავისუფლებაში მყოფ მორწმუნეთა წინააღმდეგ გრძელდებოდა სისხლის სამართლის საქმეები, სახელმწიფო იდეოლოგია და საშინაო პოლიტიკა რჩებოდა მკვეთრად და აგრესიულად ათეისტური.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

არაბიძე, ი. (2023). *საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები.* XX საუკუნე, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

ბარბაქაძე, მ. (2010). „მუკი“ – მებრძოლ უღმერთოთა კავშირი, *საარქივო მოამბე,* საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, №8.

ბასილაძე, მ. (2010). უღმერთოები. გაზ. *„24 საათი“.* 2 - 8 აპრილი, 12 (148).

ბაქრაძე, ა. (2019). *მწერლობის მოთვინიერება.* თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

ბენდელიანი, მ. (2002). *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი.

ბურჭულაძე, ნ. (2009). *თანამედროვე ქართული საეკლესიო ხელოვნება. კატალოგი.* თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი.

გურგენიძე, ვ. (1986). ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.* 1986, №4, გვ. 161-167.

დეისაძე-შარვაშიძე, ლ. (2024, 11 სექტემბერი). *წმ. დავით და კონსტანტინე მხეიძეების ნაწილთა დაბრუნება ქუთაისის მუზეუმიდან მოწამეთაში 70 წლის წინ (საარქივი დოკუმენტი).* https://infoimereti.ge (15.10.2024)

ვარდოსანიძე, ს. (2000). *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ვაჩნაძე, მ., გურული, ვ. (2008). *რუსეთის ეკლესიის ისტორია.* III. ნაკვეთი I. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

კერესელიძე, ლ. (2010). ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. *საარქივო მოამბე.* საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, №8.

კლდიაშვილი, გ. (2010). საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ამბოხება გარე კახეთში და სასულერო პირები. *საარქივო მოამბე.* საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, №9.

მეტრეველი, ს., (2014). *კომუნისტური აგიოგრაფია.* თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.

მუმლაძე ც. (1993). *ტრიფონ ჯაფარიძე.* ქუთაისი: სარანგი.

პავლიაშვილი, ქ. (2008). *საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945).* I. თბილისი: გამომცემლობა.

პაპუაშვილი, ნ. (1996). *საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის.* თბილისი: „ესაბი“.

სარია, ა. (2019). *საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1921-1927 წლებში.* სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი, თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა.

საქართველოს სსრ კანონთა კრებული. (1959). *საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული.* 1921-1940 წწ. ტ. 1, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სილაგაძე, ე. (2014). *„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ისტორია საქართველოში 1928-1947 წლებში.* დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სტალინი რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ. (1933). შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი: საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს გამოცემა.

ქართველიშვილი, მ. (2022). *საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში*, თბილისი.

ქებულაძე, კ. (2012). ანტირელიგიური მოძრაობა ქუთაისის მაზრაში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები.* № 22.

ქოქრაშვილი, ხ. (2016). რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში (1801-1917), ჭუმბურიძე დ., კიკნაძე, ვ., ქოქრაშვილი, ხ., სარალიძე, ლ. *საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით).* წიგნი I. თბილისი.

ყიფშიძე, ნ. (2010). ერთ წელიწადში საქართველოში 1212 ეკლესია დაიხურა, *საარქივო მოამბე,* საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, № 8.

Письмо В. И. Ленина В. М. Молотову для членов Политбюро ЦК РКП(б). 19 марта 1922 г. https://docs.historyrussia.org/ru/nodes/31076-pismo-v-m-molotovu-dlya-chlenov-politbyuro-tsk-rkp-b-19-marta-1922-g (15.10.2024)

KHATUNA KOKRASHVILI

THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH AND ATHEISTIC PROPAGANDA METHODS IN THE SOVIET GEORGIA (20-30S OF THE 20TH CENTURY)

Abstract

After the creation of the USSR in 1921, Georgia became part of a totalitarian state whose ideological basis was atheism. The Soviet "cultural revolution", the concept of "socialist realism", and the formation of a new person meant the struggle against religion and the church. The article analyzes the peculiarities of the anti-religious policy in Soviet Georgia in the 1920s-30s, the contradictions between the State and the Georgian Orthodox Church; Methods and results of atheistic propaganda in Georgia. Also, it clarified its stages and character.

The government tried to replace the traditional church with a „New Church". He also supported „Renovationism" („Obnovlenchestvo") as an instrument for the adaptation of the Georgian Orthodox Church to the Socialistic Revolution which threatened the autocephaly of the Georgian Orthodox Church restored in 1917. However, this movement could not be established in Georgia.

Abolition and destruction of churches and holy places, insulting of clergy, repression, banning of church holidays and their replacement with communist events became a common state-encouraged event in Soviet Georgia. From 1925 to 1947, the Soviet Union operated an anti-religious propaganda organisation - the "Union of Godless" which was renamed the "Union of the Militant Godless" in 1929. The regional office of this union existed in Georgia from 1929 to 1947. Press, literature, theatre, radio, painting, education system, and museology were used as tools of anti-religious campaigns and propaganda to influence the broad masses of the society.

The study revealed that in 1922-1924 the anti-religious campaign and pressure on the church were particularly acute and powerful, in 1925-1927 it became relatively soft and loyal, while at the end of the 1920s and in the 1930s the anti-religious campaign and atheistic propaganda took extreme forms.

Keywords: The Orthodox Church of Georgia; Soviet Anti-religious campaign; Religion in the Soviet Union; the Union of the Militant Godless; Anti-religious Propaganda; Soviet Georgia.